№ 75 14 აპრილი, ოთხშაბათი. 1866 — 1882 14 აპრილი, ოთხშაბათი. № 75.

რედაქცია
ბულვარის ბრიტანეთის ქუჩაზე. ... ბოლოს ...
ხელის-მოწერა
... „დროების“ რედაქციაში. ... ... (ბულვარდის) წიგნის მაღაზიაში. ... ... Въ Тифлисъ, въ редакціи „Дроэба“.
„დროების“ ფასი:
... 9 მან. ... ... 3 მან.
... 5 მან. ... 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა
... 1 ... ...

თუმნით წელიწადში, რასაკვირველია, არ შეიძლება; მაგრამ ძალიან კარგათ შეიძლება, რომ უმთავრესის საჭიროების დაკმაყოფილება ვიქონიოთ მხედველობაში.

ამ ნაირად, უეჭველია, რომ ტფილისისა და ქუთაისის ბანკის დამწესებელნი ყველაზე პირველად თავიანთ სააზნაურო სასწავლებლებისათვის გადასდებენ ბანკის მოგებიდამ იმდენს, რამდენიც ამ სასწავლებლებს დასჭირდებათ. და რამდენიც დასჭირდებათ არათუ მარტო იმისათვის, რომ ეს სასწავლებელნი იმავე მდგომარეობაში დარჩენ, როგორც ახლა არიან, არამედ რამდენიც საჭირო იქნება ამათ გასაუმჯობესებლად და გასადიდებლად.

დიდი საქმეა ამ ორი სასწავლებლის დაარსება ჩვენში. წლევანდელმა თფილისის გუბერნ. თავად-აზნაურთა კრებამ, მარშლების ამორჩევის გარდა, სხვათა შორის, თავიანთ სააზნაურო სასწავლებლისათვის თანხის შედგენაზედაც უნდა მოილაპარაკონ; ისეთის თანხისა, რომ ამის სარგებელს შეეძლოს საშუალ სასწავლებლად გადაკეთება ამ სასწავლებლისა და იმის შენახვა. ჩვენს თავად-აზნაურობას ისე კარგად ესმის სწავლის საჭიროება, ისე აშკარად გრძნობს ის—თუ რა ვნება ეძლევა ამ საჭიროების დაუკმაყოფილებლობისაგან, რომ ჩვენ წინათვე დარწმუნებული ვართ, ისეთი კაცი არ გამოჩნდება უარის თქმა გაბედოს ზემოხსენებული თანხის შედგენისათვის შეძლებისა-და-გვარად, თავის მსხვერპლი მოიტანოს.

თუ ამ ნაირი წინადადება (ვალდებულებითი სასკოლო გადასახადი) ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურობამაც იკისრა (რაც მოსალოდნელია), მაშინ ჩვენ საადგილ-მამულო ბანკებს აღარ დასჭირდებათ ამ სააზნაურო სასწავლებლის დახმარება. მაშინ ამ ბანკების შემოსავალი სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად შეიძლება მოიხმაროს თავად-აზნაურობამ.

და ეს სხვა საჭიროებანი არის: ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ხელის-მომართვა, დახმარება „დრამმატიულ საზოგადოებისა“, სამეურნეო განათლების გავრცელება ხალხში, სასოფლო ბანკების შეწევნა, მაზრის ქალაქებში მოკლევადიან სესხის გასაცემად ბანკის კანტორების ვამართვა და სხვ. და სხვ.

ყველა ეს ჩვენი საზოგადო საჭიროებაა და, რამდენათაც შესაძლებელი იქნება, ბანკებიც უნდა დაეხმარნენ ამის დაკმაყოფილებას.

დღიური

გუშინ, 12 აპრილს, პირველ საათზე ახალი მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი ბაქოსაკენ გაემგზავრა.

***

გავლილ კვირას საადგილ-მამულო ბანკის სადგომში იყო საზოგადო კრება ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა. კრებამ მოისმინა წინადადება კომისიისა, რომელიც ამორჩეული იყო იმისთვის რომ მოეპოვა შვილების აღზრდის ღონის-ძიება, და გადაწყვიტა, რომ მიიღოს ამ კომისიის პროექტი ზოგიერთის ცვლილებით.

წინადადება კომისიისა-კი იმაში მდგომარეობს, რომ თავად-აზნაურობამ თავის ნებით იკისროს სასკოლო გადასახადი; მთელი თავად-აზნაურობა ოთხ დასად იყოფა: პირველი დასის თავად-აზნაურობა ერთ-დროებით შეიტანს სასკოლო თანხის შესადგენად 400 მან., მეორე დასისა—200 მან., მესამესი—100 მან. და მეოთხესი-კი—50 მანეთს. („კავკ.“).

***

ჩვენ გვაცნობებენ, რომ გუშინ ღამით ავაზაკებს მოუკლავთ პუკიაში გვარდიის პოლკოვნიკი ბაკიხანოვი და იმის დენსჩიკი. მიზეზი მკვლელობისა, როგორც ამბობენ, გაცარცვა უნდა ყოფილიყო, რადგან მოკლულ ბაკიხანოვს 200,000 მან მიელო წინა დღეებში. ავაზაკებს წაუღიათ ყველაფერი, ძვირფასი, რაც კი იმის სადგომში უპოვნიათ.

***

სოხუმის მაზრის დაბა გუდაუთში ტელეგრაფის სტანცია გაიხსნა.

***

მთავარ-მმართებელმა დაამტკიცა თ. ნაპოლეონ ამატუნისაგან წარდგენილი წესდება „სომხურ დრამატიულ კლუბისა“.

***

ფოჩტის გამგეობა გვაცნობებს, რომ გუდაურისა და კობის სტანციებს შუა 12 აპრილს თოვლის ზვავი ჩამოწოლილა და ამის გამო ამ ადგილას გზა შეკრულიაო.

ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ გუშინ ჩვენ ქალაქში რუსეთისა და სამზღვარ-გარეთის ფოჩტა არ მოგვსვლია.

***

ზემო-იმერეთიდამ გვწერენ, რომ ხარაგაულის სასოფლო სკოლის მასწავლებელი ერთობ გულ-აცრუებით ეკიდება თავის საქმესაო, თითქმის სმასა და ქეიფებში ატარებს დროებასაო და შაგირდები კი ხშირად სრულებით უსწავლელნი რჩებიანო.

კორრესპონდენტი გვარწმუნებს, რომ ამ გვარივე სენი, სამწუხაროდ, მარტო აქ კი არა, იმერეთის ზოგიერთ სხვა სოფლის სასწავლებლებშიაც არის გავრცელებულიო.

***

ჩვენ გადავბეჭდეთ ამას წინათ რუსულ გაზეთებიდამ, რომ გრაფ ლორის-მელიქოვი 3 აპრილს ჩამოვიდა პეტერბურღშიაო. ეს ამბავი, როგორც ახლა იწერებიან, ტყუილი გამომდგარა, ლორის-მელიქოვს 23 აპრილს მოელიან პეტერბურღშიო.

***

ოთხშაბათს საზაფხულო თეატ...
ქართული დრამატიული ტრუპა ...
ველათ თამაშობს გ. შ. ჯორჯ...
პიესას „ჭკვეროსტატს“. ეს პიესა ერთ...
იმ გვარ სატირული პიესათაგანი...
რომელიც კარგად უნდა გამოიყენ...
სცენაზედ, რადგანაც თითონ საგან...
შეეხება აწმყო მდგომარეობას ...
თითონ პიესა სავსე არის სორიონ...
ლის ოხუნჯობით. ამ პიესაზე ითქმ...
რომ სწორეთ სცენისთვის არის ...
წერილი.

***

პარასკევს არწრუნის თეატრში და...
ნიშნულია ბენეფისი ანდრონიკაშ...
ქალისა. წარმოდგენილი იქნება ქარ...
თული თეატრის დასისაგან ისტორი...
ული დრამა 5 მოქმ. „თამარ ბატონის...
შვილი“. ეს დრამა თუმცა პირველ...
არ იდგმის ჩვენს სცენაზედ მაგრა...
ყოველთვის ამის წარმოდგენაზედ ...
თი ნაკლულევანება შეგვიმცნევია: ...
ნაკლულევანება გახლდათ ტანისამ...
სის უქონლობა. ახლა, როგორც ...
ვიტყვეთ, საკუთრივ ისტორიული პი...
სებისთვის იკერება ტანთ-საცმელ...
მეფეთა, დიდებულთა, ქალთა და ჯ...
თა და პარასკევს პირველად გამო...
ლენ ამ ტანთ-საცმელში.

***

დაბა ხონიდამ გვწერენ:

„დ. ხონი, რასაკვირველია, უფრ...
გამშვენიერდა მას აქეთ, რაც აქ ...
არსდა სასოფლო სემინარია. სხვა...
სხვა ჰაზრები და პროექტები დაიბ...
სავაჟო და საქალებო სკოლები (...
ლის სადგომი ხონელებმა სასოფ...
სემინარიის მისცეს) გაიმართოს, ...
ნის-წყლიდამ არხი გამოყვანი...
იქმნეს და ზედ სხვა-და-სხვა ჩარხ...
და წისქვილები გაიმართოს. სიტყ...
ბევრს რასმე ამბობენ, მაგრამ საქმ...
კი ასე გახლავთ: სავაჟო ორ-კლასი...
ნი სასწავლებლის სახლი რომელ...
დღეს 450 მან. დაქირავებულია ...
რომლის ქირაც ამ სკოლის მზრუ...

დები გვერდსა, სირცხვილია ღვთის მადლმა! ქვეყანა დაგცინებს.

— წყალსამც უზიდნია ცხორიცა და ქვეყანაცა!

— აჰუ! ჩაიქნია ხელი ბირგოლამ. —მაშ რაი გინდა, რა.

— რაი ვქნა ბირგოლაისი! მე თავადაც არ ვიცი რაი მინდა. ბილევი, ვდნები და იმას-კი არა აქვს ჩემი სიყვარული!.. რაისათვი შემრთე, რად ჩაზდექ ჩემს ცოდოში?.. მიშველე, მიწამლე რაიმე...

— აბა რაი გიყო, რაი გიწამლო?.. ჩემი ცოლი ყოფილიყო, მე გავაგებინებდი და შენ რომ არა შეგიძლიან-რა, მე რაი უნდა გიყო?.. ქალაი ხარ, ქალაი!..

— რაი ვქნა, რაი? ხელების მტვრევით და თითქმის ტირილით წამოიძახა იმედ-დაკარგულმა ნინიამ.

— რაი უყო? კაი-კაი მათრახები იმას და ღვთის მადლმა იფნის სახრესავით მოიქნების.

— კიდევ მათრახები, კიდევ ცემა! წარმოუთქმელის მწუხარებით წარმოსთქვა ნინიამ.—განა ცოტა ვცემე?.. აღარ შემიძლიან! გული მიკვდების! იმას რომ ვცემ, ასე მგონია მე მცემენო...

— ბიუბნები ქალაი ხარ-მეთქი!.. მაგის მეტი თუ არ შეგიძლიან და ცხორს მაინც მიხედე... სანამ მე ვეცდები, ეგების მოვარჯულო.

— წავალ, წავალ, მა რაიღა უნდა გავაკეთო? აგერ ორი თვე შესრულდა, რაც შევირთე, მაგრამ იმან არც ცემით და არც დაყვირებით მიმაკარა.

— ბეუბნები მე ვეცდები, შენ-კი წადი.

— აგრე, აგრე.

— მაშ როდის წახვალ?

— აი გზიურ წავალ... შინ რაისთვილა შევიდე?.. უთხრა ნინიამ, რომელიც მივიდა გამოქვაბულის კარებთან, შესდგა რაოდენიმე ხანი, მერე აილო გუდა, შესდგა კიდევ, აილო კომბალი, წასდგა რამდენიმე ნაბიჯი სადგურისაკენ, მაგრამ ისევ თავი შეიკავა, გამობრუნდა საჩქაროთ და მოვიდა ძმასთან.

— ბირგოლაუ, მე მივდივარ და შენ იცი!.. ღვთის მადლს ძალიან ნუ შეაწუხებ... რაი უყოთ, რომ არ უყვარვარ, ის ლამაზია და მე...მე-კი გონჯი.

ამ სიტყვების შემდეგ ნინია მღელვარებისაგან ბარბაცით გაემართა ციხის გასვლისაკენ და ჩქარა მიეფარა აქა-იქ ცხვირ წამოწვდილს კლდეებს.

ბირგოლა კარგა ხანს უყურებდა თავის უშნო ძმას, რომელიც უმადურად მიიზლაზნებოდა ბილიკზედ და საზოგადოთ ისეც პატარა ეხლა თითქოს ერთი ორად გალეულიყო.

ბირგოლა იდგა და უყურებდა რალაცა გვარის თვალებით და კაცი ძნელად გადასწყვეტდა ამ დროს—რასა ჰგრძნობდა იმისი გული: ეს გამოხედვა იყო სიზიზღე, სიბრალული, თუ სიხარული თავის ძმის უხეირობისა.

პატარა ტანის ნინია, კუზიანი და ბლუ, მართლა შესაბრალს სურათს წარმოადგენდა; გალეული და გაცრეცილი პირისახე, პატარა უსიცო...
ლო თვალები კიდევ უფრო ამახი...
ჯებდნენ იმას.

ბირგოლამ უკანასკნელად შეხე...
და თითქმის ზიზღით წამოიძახა:

— ეგ საით ჩემი ძმაა?...

ამ სიტყვების შემდეგ ის წყნარ...
გამობრუნდა და გასწია ბინისაკ...
სადაც დამწყვდეული ნუნუ ჰყავ...
დათ.

ჯვარის-წერის შემდეგ ესენი გამ...
იხიზნენ ამ სიმაგრეში, რადგანაც ...
ნოდათ ქალის მამეულებს არ გაე...
ხადათ იმათვის. იქ ელოდნენ შერ...
გებას და კაცებს უგზავნიდნენ ერ...
მანერთს. ყველაზედ მეტად მახია...
ონისე ცხარობდნენ, რადგანაც ქალ...
ნის თვალად თავის გამოჩენა უნდ...
დათ.

ამ შუა კაცობაში თუმცა დრ...
მიდიოდა, მაგრამ ნუნუ ვერა საშ...
ლებით ვერ დაიმორჩილეს. ი...
მოფერებამ, ვერც ჯავრობამ, ვერ...
ცემამ ვერ მოაჰკვიანა და ვერ ...

ველმა კეთილ-გრძნობით იზლო ჯერ-ობით სესხად, მოგახსენებენ, ომ ყმაწვილების მშობლებმა გადიხა-ლონ, რომლებიც სწავლობენო.“ და სხ.

„ამ ჟამად ჩვენში ექიმობის პრაქ-ტიკამაც მიიღო გასაკვირველი მიმარ-თულება; ქადაგობენ კეთილ-მზრუნ-ველობას და ჩვენი დღე-გრძელობი-სათვის მათ თავ-განწირულ მოქმედე-ბას. ბატ. ბ., დოქტორი სემინარიისა, თუმცა შემბრალია ჯიბისა, მაგრამ ბლეხებისათვის მაინც არა სცალიან. ეს ბატონი, როგორც ამბობენ, კერ-ძო სარგებლობამ აიძულა ერთი აქაუ-რი ფერშალი შატილოვი, რომელიც კარგი ხანია აქაურ ავადმყოფებს გვა-რიანად შველოდა, სამართალში მიე-ცა ეითომ იმისთვის, რომ ხეირიან წამლებს არ აძლევს ავადმყოფებსაო“.

***

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდავი შემდეგი წერილი ქუთაისიდამ:

„დროების“ 64 №-ში, დღიურის განყოფილებაში გამოცხადებული იყო შემდეგი:

„კ-ნა ბ. ბ. ბარათოვისამ შესწირა ქართულს დრამატიულ საზოგადოებას ყველა სამკაული, ნივთები, დეკორა-ცია და ტანისამოსი, რომელიც იყო შეძენილი პატივ-საცემი კნეინასაგან „მეფხის-ტყაოსნიდგან“ ცოცხალი სუ-რათების გასამართად“.

„მე მგონია არ შეგვხვდეს იმისთა-ნა შვილი ჩვენის მამულისა, რომელ-მაც თვით ულრმესი მადლობა არ შეს-წიროს ბ. ბარათოვისას ამისთანა კე-თილის საქმისათვის, თუ კი იმ მამუ-ლის შვილს ცოტათი მაინც ესმის დღევანდელი ჩვენი საჭიროება და მოთხოვნილება; რომ იმან არ ისურ-ვოს გავრცელება კ-ნა ბარათოვის თანამგრძნობლების და მოაზრე პირე-ბისა.

„ჩვენდა საუბედუროთ, ძლიერ ცო-ტა გვყავს ხელის მომწყობნი და მა-მულისთვის მოღვაწე პირები; ცოტა-ნი ცდილობენ, რომ ჩვენს დღევან-დელ მდგომარეობას მოეღოს ბოლო და შეიარაღებული ვიქმნეთ ყველა იმ მოთხოვნილებით, რომელნიც შე-ადგენენ ჩვენი ფეხზედ წამოყენების აუცილებლად საჭირო სამკაულებს, ჩვენის სენის გამკურნელ წყაროებს. უმეტესი ნაწილი ჩვენი მამულის-შვილებისა, შეწევნის და ხელის მო-წყობის მაგივრად, გზაზედ მახეს უგე-ბენ მოღვაწე პირებს და ყოვლის ღონით სცდილობენ, რომ მათი ცდა, სურვილი და მოქმედება კეთილად არ დაგვირგვინდეს, რომ მათგან დაბადე-ბული სუსტად მბრჭყვინავი წერ-ტილი კეთილი საქმისა ისევ შეიმო-სოს ბნელით. მე შემიძლია ამისთანა ბატონები დაგისახელოთ მარტო ქუ-თაისში რამოდენიმე...

„ამ მცირე შენიშვნის დასასრულ, როგორც მოყვარული ქართული თე-ატრისა, ულრმეს მადლობას ვსწირავ კ-ნა ბარათოვისას მისი მხურვალე თანაგრძნობისათვის და ვისურვებ მისს კეთილ აზრს ისეთი გავლენა ჰქო-ნოდეს ჩვენს საზოგადოებაზედ, რომ ის პირებიც კი ჩაეგდოს გულის ხმაში, რომლებიც, არამც თუ თავიანთ სა-კუთრება ნივთებს არ სძღვნიან ჩვენს ღარიბ დრამატიულ საზოგადოებას, არა-მედ სხვისი ფულით დამზადებულ ნივ-თებსაც კი მალავენ, ალპობენ თავიანთ სკივრებში და თვალითაც არ ანახვებენ უმიმოთაც დაბრკოლებულ წრეს. ერთხელ კიდევ ვინატრი, ბევრი ამო-ჩენილიყოს ჩვენში მისებრ გულ-შე-მატკივარნი პირები“.

ყ. ა.

„დროების“ კორესპონდენცია.

ოზურგეთი, 8 აპრილს. ბევრი ცნობები იყო დაბეჭდილი თქვენს გაზეთში შესახებ იმ სამწუხარო მკვლელობისა, რომელიც მოხდა ქ. ოზურგეთში გავლილ წლის 19-ს ნოემბერს, ესე იგი მაზრის უფროსის თანაშემწის თ. ანტონ ნაკაშიძის მკვლელობისა, მაგრამ არც ერთი ამ ცნობებთაგანი არ არკვევდა ქიმმარი-ტებას იმდენად, რამდენად ეს საჭი-რო იყო საქმის დასანახავად. ავტო-რებს ეს არც გაემტყუენებათ, რად-გან საქმის მსვლელობიდგან ნათლათ არ სჩანდნენ აქომამდის ის პატიოცე-მული პირები, რომელთაც იკისრეს საზიზღარი საქმე და აიძულეს ლომ-ჯარია მატერიალურის საშვალებით და სხვა-და-სხვა იმედებით ამ გვარ წრეს გარდასულ ხელობაზედ და არც ის მოტივები, რომელთაც იხელმძღვა-ნელა ლომჯარიამ ამ გვარ ამ საქმე-ში.

დღეს, მადლობა ღმერთს, ეს ავა-ზაკი გამოცხადდა მთავრობის წინაშე და აღარ მალავს თურმე იმ პირებს, რომელთაც ამოქმედს ის ამ გვარ ბოროტ-განზრახულობის სისრულე-ში მოსაყვანათ.

აი საქმე რაშია:

ლომჯარია, მკვლელი თ. ანტონ ნაკაშიძისა, არის ერთი ახალგაზდა ყმაწვილი, რომელსაც, როგორც ამ-ბობენ, ბევრი იმედები ქონებია ცხოვ-რებაში, იმას ჰყავს ცოლ-შვილი, მო-ხუცებული დედა. უმეტესი ნაწილი თავის ცხოვრებისა გაუტარებია გარეთ ვაჭრობაში, ქალაქებში; მაშა სადმე მას არ უნდა ჰქონოდა ის მოდრეკი-ლობა, რომელიც, სამწუხაროთ, თით-ქმის საზოგადოა ზურიაში იმ სოფ-ლელ ახალ-გაზდებს შორის, რომელ-ნიც ჯერ-კიდევ არ შესულან ოჯა-ხობის წრეში და რომელთაც ოცნე-ბა არის რომელიმე ვაჭკაცური საქმე, გმირული მოქმედება. ეამბობ, ლომ ჯარია იმ წრეს არ ეკუთვნოდა, ის იყო ერთობ წინდახედული ახალ-გაზ-და სოფლის გლეხი. ამ გვარი კაცის ისე გატაცები, რომ მან დასტოვოს ცოლ-შვილი, ოჯახი, ვაჭრობა კე-თილ განწყობილება მეზობლებისა, ბოდა ნისლის პატარა ნაჭრები და ამათ ცოტა დაშორებით შემოჭედი-ლიყო შავად მოქცეული ნისლი. წინ უხვდებოდა კვირცხლი ნიავი, შლიდა, აბრუნებდა, ატრიალებდა, მაგრამ ნისლს თან-და-თან ემატებოდა, ის იზრდებოდა თან-და-თან და ჯერ შეუმჩნეველად თითო ნაბიჯით მოი-პარებოდა, მერე ერთბაშათ დაჰბერა ჩრდილოეთის ქარმა და გამოსწია შეუპოვარმა ნისლმა. აქამდისინ მხია-რული დღე, ერთბაშად მოიქცა პირ-ქუშ მგლოვიარეთ. ცა და დედამიწა მოიფერა ტყვიის ფრათ და ეს ფერი თითქო მძიმე ლოდს ადებდა ადამია-ნის გულს.

ბოლოს ერთბაშათ შეცხა, შეჩერ-და ქარი, გაჩუმდა ყოველის ფერი ბუნებაში; თითონ ჩამონადენი წყლის ჩხრიალიც-კი უფრო ყრუთ მოისმო-და, კაკბების კაკანი და ბურთხთ შტვენა ისე ჩვეულებრივი საღამოს აღარ მოისმოდა.

ერთბაშათ იჭექა ცამ, მოისმა გრია-ლი და ამას მოჰყვა წვრილი, მაგრამ ბრაზიანი ტანჯვა, ესე იგი ბოროტ-ყოფილ ადამიანებს ეგონა, ეს ეგ-ონა, ეს ეგონა, ე

საღებად იმ დიდებულ პირებისა, რომელნიც ამ დროისთვის აპირებენ მოსკოვში მისვლას. ხმები არის, რომ ამ დღისათვის იქნებიან მოსკოვში: უავგუსტოესი მშობელნი ხელმწიფე იმპერატორისა, დანიის კოროლი ხრისტიან IX, მეუღლე მისი კოროლეა ლუიზა და ძმა კოროლისა პრინცი ბოლშტეინ-ბლიუჯსბურლიისა, მათი უდიდებულესობა გერცოგი და გერცოგინა ედინბურლიისა, ორი წევრნი გერმანიის იმპერატორის სახლისა და, სხვათა შორის, მემკვიდრე გერმანიის ტახტისა, კოროლები: შვედიისა, საბერძნეთისა, სერბიისა, რუმინიისა, მთავარი ბოლგარიისა ალექსანდრე I და მთავარი ჩერნოგორიისა ნიკოლაი. გარდა ამისა ამავე დღისთვის მოელიან, როგორც წარმომადგენელთ: ჩინეთის იმპერატორის ელჩს პარიჟში და ლონდონში მარკიზს ცენგ-ი-ინგს და პაპის ლეონ XIII ძმის წულს გრაფ ქამილლო პეჩჩის.

ამ დროისათვის ადგილობრივი ჯარები გაიგზავნებიან მოსკოვიდამ და მათ ადგილს დაიჭერენ გვარდია და სამხედრო დეპუტაციები ყოველი რუსის ჯარებისაგან გამოგზავნილნი. ამამე დროს იქნება დიდი პარადი, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას 100,000 ცხენოსანი და ქვეინი ჯარის კაცნი.

თფილისის სამკურნალო

ავთმოოფები მიიღებიან დიღის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს. გარლვეიჩი და ლისიტეკი—შინაგან ავთმოოფობისა; ბელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავთმოოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—სირურგიული ავთმოოფობისა; ლისიტეკი—შინაგან ავთმოოფობისა; ბელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავთმოოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიტეკი და მირიმანოვი შინაგან ავთმოოფობისა; ბელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და უმაწვილების ავთმოოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავთმოოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიტეკი—შინაგან ავთმოოფობისა; ბელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავთმოოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — სირურგიული ავთმოოფობისა; ლისიტეკი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავთმოოფობისა; ბელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავთმოოფობისა.

შაბათს. ლისიტეკი—შინაგან ავთმოოფობისა; ბელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავთმოოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავთმოოფობისა.

განცხადებანი

არწრუნის თეატრში
პარასკევს, 16 აპრილს
ბენეფისი
ქ. ანდრონიკოვისა
I
თამარ
ბატონიშვილი
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად.
თანთჩაცმულობა ახალი, საკუთრივ ისტორიული დრამებისთვის მომზადებული.
II
ლეკური და დავლური.
ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში. დასაწყისი 8 საათზე.

ექიმი შტემბორსკი

მიიღებს ვენერიულ და ხორცის კანის ავთმყოფებს მუდამ დღე დილის 9 საათიდამ 11 საათამდინ და საღამოს 4 საათიდამ 11 საათამდინ. ღარიბებს მიიღებს მუქთად.

ადრესი: სოლოლაკი სადოვის ქუჩა, სახლის № 50. (10—2)

აუქციონი

17 და 24 აპრილს და 8 მაისს 1882 წელს კავკაზიის აქციათა-მსრის ბრიკაზში დანიშნულია აუქციონით გაყიდვა ოქრო-ვერცხლის და სხვა ძვირფას ნივთებისა. (3—2)

ისყიდება ახლად აშენებული, პატრონების წასვლის მიზეზის გამო, ციროსნის კუთხეში და ანდრეევის ქუჩაზედ სახლი № 13 რვა ოთახით ორის წინა ოთახით, სამზარეულოთი და მოსამსახურის ოთახით და ორის სარდაფით, მიწით ზომით 300 საქენით.

პირობების შეტყობა შეიძლება ამავე სახლშიდ.

ისყიდება სახლი ნიკოლაევის ქუჩაზედ № 96-ს 4 ოთახით თაღებიანი ქვემო პოდვალნი სართულით, თაღლით და სხვა ყოველ გვარ მოწყობილებით საყინულით, ამ სახლს აქვს პრიკაზის ვალიც.

დაწერილებით პირობების შეტყობა შეიძლება ანდრეევის ქუჩაზედ, სახლი № 13. (3—3)

იურიდიული კაბინეტი
იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა ბოლოვინის პროსპექტზე არხიტექტორის ბეკლოვის სახლში ქელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღეევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—15)

ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის გალერეაში
(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი	ჩაის უფასოდ
— — 1 მ. 10 კაპ.	— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „	— 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „	— 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „	— 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „	— 2 „ 50 კაპ.
სუფთა 2 მანეთ.	— 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქადალდოა, სხვაგან კი ქადალდით. (100—99)

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის
საერთო მფლობელობაზე
თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

თამარ დედოფალი
შედგენილი
ე. ბ—შვილისაგან
გამოცემა
ზაქ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ერთი აბაზი.

ლონდონის მაღაზია კომერციულ-ბანკის ქვეშ დაარსებულია სამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი ხარისხისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, ბლიტებისა, ბურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ჯოგზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხნებისა, საბონისა, შჩოკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქადალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, ულაგრებისა, სუგრისისა (გემრიელი კლეშჩინი ზეთისა) და სხვ. საგენტო კონტორის ... კანფეტების ... რაბისა, აგრეთვე ჩუდქებისა და ... ბისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ... სიგარეები. (100—...

ამ თვის ხუთშეტს გამოვა
ქეთევან
ყარამნის შვილი
მოთხრობა,
მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოიტ... ვონ ბარგელის ნაწილიდამ ვიდრე ... ნასკენელ ნაწილამდინ მელიქიშვ... სტამბაში, ბატონ ნიკო ქობალ... თან.

სომეხთ ნერსესის პოპეჩიტელ... სოვეტში ამ აპრილის 21-სა, საღა... ზედ 8 საათზედ არის დანიშნ... ტოლრგი (უპერეტორმკოთ) ... მისაცემათ თელეთის წმიდის გი... გის ეზოში ერთის დუქნისა თეა... ერთის ოთახითა.

მსურველს შეუძლიან წაკითხვა ... რობისა ამავე სემინარიის კანცელარ... ში ყოველ დღე, კვირისა და უ... დღეების გარდა, დილის 10 საათ... ვიდრე 12 საათამდინ. (3—2)

ტაქსა
საგებავ ხორაგეულებათა, რომელ... იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ... ნებში და დატარებათ 1 აბრეშ... 1 მისამდის.

ბამომცხეარი პური: ხორბლის ფქვილ...
პირველის ხარისხის—1 გირ. 3...
მეორის „ —1 გირ. 3...
მესამის „ —1 გირ. ...
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხ...
პირველის ხარისხის—1 გირ. 6...
მეორის „ —1 გირ. 4...
ჯვარის-მამის პური:
პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 7...
მეორის „ „ —1 გირ. 5...
მესამის „ „ —1 გირ. 4...
ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხის —1 გირ. 11...
მეორის „ —1 გირ. 9...
სუკი — — —1 გირ. 16...
ცხვრის ხორცი 1 გირ. 13...
ღორის ხორცი:
პირველი ხარისხის —1 გირ. —...
მეორის „ —1 გირ. —...

სურამის და ხაშურის სტანციებ... ისყიდება დიდ-ძალი დამწვარი ... ფასის შეტყობა შეიძლება სურამ... ალექსანდრე აბაზაძისგან. (15—10)

ახლად ჩამოსული
ბებია-ქალი

აქვს იმპერატორის მოსკოვის უნივერსიტეტის დიპლომი, რომელიც ... წელიწადი მუშაობდა ქ. სარატოვში და რომელსაც აქვს ამ ქალაქის საექ... მო გამგეობისაგან რამოდენიმე მოწმობები თავის ხელობისა,—მიიღ... ავად-მყოფ და ორსულ ქალებს თავის სადგომზე, სადაც აქვს ამათთვის ... ზადებული ოთახები.

ადრესი: ელისავეტინის ქუჩა, სახლი 60.
ბებია-ქალი დოროდეევა—კაჭინსკისა.
(24—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Апрѣля 1882 г. Типографія Меликова
გამომცემელი ს. ...ქიშვილი. რედაქტორი ს. ...